საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზემო ხანდაკი

ზემო ხანდაკი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., ზენადრისი, კალოუბანი, ჭყოპიანი). ზ. დ. 610 მ, კასპიდან 20 კმ, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 კმ. 1,9 ათ. მცხ. (2002). სოფლიდან 1 კმ-ზე, სოფ. ხოვლისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, მთის ფერდობზე შემონახულია XIV–XVI სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. თევდორეს ერთნავიანი ეკლესია. მოგვიანებით ეკლესიისთვის სამხრ-იდან კარიბჭე, ეგვტერი და პატარა სათავსი მიუშენებიათ, დას-იდან კი მთელ სიგრძეზე – ვიწრო სათავსი. სოფლის მახლობლად კიდევ ერთი გვიანდ. ფეოდ. ხანის სამების პატარა ეკლესია დგას, სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 კმ-ზე – XVII–XVIII სს. ტუფით, ქვიშაქვით და აგურით ნაშენი ერთნავიანი ეკლესია, სოფლის შუაში კი – XIX ს. ამავე ტიპის წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვით და აგურით, კუთხეები ნაწყობია თლილი ქვით.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., თეძმის ხეობა, თბ., 1959.

ნ. ანდღულაძე